სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფცია

ზოგადი დებულება

საქართველოს მთავრობის 2020 წლისს 31 მარტის #205 დადგენილების, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად, შეიქმნა ელექტრონული სწავლების საფაკულტეტო კონცეფცია.
კონცეფციაში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომელთა გათვალისწინებით და საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, მოხდება სასწავლო პროცესის დისტანციურ-ელექტრონული ფორმით განხორციელება, კურიკულუმის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მიდგომების და მეთოდების გამოყენება.
ელექტრონული სწავლების პროგრამა იმ სახითაა აგებული, რომ მისი წარმატებით გავლის შემდეგ, სტუდენტს შეიძლება მიენიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია.

კონცეფციის მიზანი

კონცეფციის მიზანია, განსაზღვროს/დაადგინოს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის, ან მისი ნაწილის წარმართვის წესი; განსაზღვროს მოქმედების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა, რომელიც განაპირობებს სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას.

ელექტრონული სწავლების განხორციელების გზები

ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით:

ა) ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას. ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული შეიძლება იყოს თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა LMS (http://admin.lms.tsu.ge/) და სასწავლო პლატფორმა Moodle (https://e-learning.tsu.ge/). ამ აკადემიური პლატფორმების გამოყენება სავალდებულო ხდება ფაკულტეტისთვის.

ასინქრონული კომუნიკაციისას ლექტორმა, გარდა სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურისა, სალექციო მასალა უნდა ატვირთოს სასწავლო

განრიგის/ცხრილის შესაბამისად (წინმსწრებად, წინასალექციო კვირის ბოლოს), თითოეული სალექციო საათისთვის, შემდეგი ფორმატით:

- ლექციის ტექსტი ვორდის ფაილში (10-15 გვერდი);
- Power Point-ი (15-25 სლაიდი) თანდართული ხმოვანი ჩანაწერით (25-30 წუთი);
- ლექციის აუდიო ჩანაწერი (30 - 40 წუთი);
- ლექციის ვიდეო ჩანაწერი(30 - 40 წუთი);

ლექტორს შეუძლია ასევე, დამატებით მიაწოდოს სტუდენტებს სილაბუსით განსაზღვრული სხვა ტიპის სალექციო მასალა.

ბ) სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული ZOOM -ის ონლაინ აპლიკაცია. სინქრონული კომუნიკაციის წარმართვისას, ლექტორმა უნდა ჩაიწეროს ონლაინლექცია და განათავსოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის პლატფორმაზე (lms-ზე ან/და e-learning-ზე). დიდი მოცულობის ფაილების ატირთვისას გამოიყენება Google Drive პლატფორმა.

გ) ფორსმაჟორულ სიტუაციაში, სტუდენტებისა და ლექტორების შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია დამხმარე საკომუნიკაციო ფუნქცია შეასრულოს სოციალურმა ქსელებმა. ამ შემთხვევაში, განხორციელებული სამუშაოს დასაფიქსირებლად, შემუშავებული უნდა იქნეს რელევანტური მეთოდი, რაც დაემყარება გამოყენებული მედიაარხის კომუნიკაციურ თავისებურებას.

ელექტრონული სწავლების მოკლევადიანი პერსპექტივა გულისხმობს ზემოთ მოცემულ ღონისძიებებს. გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია ელექტრონული სწავლების პროცესის გაფართოება, რაც გულისხმობს ყველა სასწავლო კურსის ელექტრონული სახით არსებობას იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს სასწავლო პროგრამათა ხელახალი აკრედიტაციის მოთხოვნები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმი 2019 – 2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ერთჯერადად ცვლის შეფასების სისტემას. კერძოდ, შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან ამოღებულია დასწრებისა და შუალედური გამოცდის ქულები და დატოვებულია ორი კომპონენტი: 40 ქულიანი - „აქტივობა სამუშაო ჯგუფში“ და 60 ქულიანი - დასკვნითი გამოცდა.

40 ქულა გადანაწილდება შემდეგი აქტივობების სახით:

- **პრეზენტაცია** - 1 პრეზენტაცია - 5 ან 10 ან 15 ან 20 ქულა;
- **წერითი ნაშრომი -** (ესე, რეფერატი, სამაგიდო კვლევა, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) - 1 ნაშრომი- 10 ან 15 ან 20 ქულა (რეკომენდაცია: 750 - 1500 სიტყვა);
- **ქვიზი** - 1 ქვიზი/ტესტი - 5 ან 10 ან 15 ან 20 ქულა;
- **პრაქტიკული წერითი/ციფრული დავალება -** (ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებისთვის შეიძლება იყოს სტატიის, ინტერვიუს მომზადება, სხვადასხვა ციფრული პროდუქციის შექმნა, კვლევის მეთოდების კურსისთვის შეიძლება იყოს კვლევის დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტი და სხვ.) - 1 პრაქტიკული დავალება - 5 ან 10 ან 15 ან 20 ქულა;
- **სინქრონული სემინარები** - (ZOOM აპლიკაციით ჩატარებული და ჩაწერილი), - 1 სემინარი- 5 ან 10 ქულა (იმ სტუდენტებისთვის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს ონლაინ სემინარებში შეთავაზებული იქნება წერილობითი დავალება მსგავსი ქულობრივი გადანაწილებით).

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი / დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა- 11 ქულა.

60 ქულიანი დასკვნითი გამოცდა, რომლის **მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 30 ქულა,** ჩატარდება **წერითი, ზეპირი, ან კომბინირებული გამოცდის** ფორმით.

ფაკულტეტი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დისტანიური სწავლების მიღმა დარჩენილი სტუდენტებისთვის , ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათთან ლექტორების ინდივიდუალური მუშაობის ფორმით.

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელების უფლებები/მოვალეობები და ვალდებულებები განსაზღვრულია თსუ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესით.
ელექტრონული სწავლებისას მნიშვნელოვანია სტუდენტთა და პროფესორთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი. ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, და სხვ. წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ მათი მოსმენისას, შენახვისას და სხვა პირებისთვის გაზიარებისას.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ დროულად მიაწოდა ინფორმაცია სტუდენტებსა და აკადემიურ გუნდს საგანგებო

ვითარებაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ირგვლივ.

სასწავლო პროცესის ელექტრონული / დისტანციური ფორმის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ფაკულტეტზე შეიქმნა ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხარდაჭერას, კონსულტირებასა და მონიტორინგს სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წამართვის მიზნით.
ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი სტუდენტებსა და პროფესორებს მუდმივად უზრუნველყოფს ინფორმაციითა და ინსტრუქციებით e-learning, LMS, ZOOM აპლიკაციებში მუშაობის შესახებ.
ფაკულტეტის კუთვნილ მეოთხე და მეექვსე კორპუსებში, ორ-ორი აუდიტორია მოწყობილია აკადემიური პერსონალისთვის ლექციების აუდიო/ვიდეო ვერსიების ჩასაწერად.

ელექტრონული სწავლების გამართულად წარმართვისათვის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს შესატყვისი ინტელექტუალური რესურსი. საერთო ძალისხმევითა და კონსენსუსის პრინციპებზე დამყარებული მართვის სტილით, ვიმედოვნებთ გადავჭრით პრობლემებს და ისე გავუმკლავდებით სირთულეებს, რომ შევინარჩუნებთ სწავლა/სწავლების ხარისხს.

ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფი:

1. თ.დოლბაია - ფაკულტეტის დეკანი
2. თ. მატარაძე - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
3. რ. ჯორბენაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. ს. დუნდუა - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
5. ე. გელაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
6. ლ. ჩოხელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
7. ს. ტაბატაძე - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

e- learning - პლატფორმის მართვა - მონიტორინგი: ს. ტაბატაძე ;

LMS - პლატფორმის მართვა - მონიტორინგი: ე. გელაშვილი, მ. მიქაძე, ნ. დათიაშვილი, მ. უშარაული;

ZOOM - აპლიკაციის მართვა - მონიტორინგი: ლ. ჩოხელი, მ. გოგილაშვილი, ს. ტაბატაძე.

დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2020 წლის 3 აპრილს (ოქმი #2)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2020 წლის 4 აპრილის სხდომის

ოქმი # 2

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 20.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფციის განხილვა – დამტკიცება

მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფცია ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : ნ. ჭალაგანიძემ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, რ.ხითარიძემ, ე. ბებერაშვილმა, ა. სალარიძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული სწავლების კონცეფცია და დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი